ხელშეკრულება №ჟ-3/11

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 12. 02. 2018 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი გენერალური დირექტორის ლია ძიძიგურის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,**პროგრესი 2000**" (შემდგომში - ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამია საძაგლშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, (დაფინანსების წყარო: 2018 წლის საკუთარი შემოსავლები) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ხელშეკრულების დანართი N1-ში სასმელი წყალი (CPV41110000) (მიწოდებით), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებს:

1.2 თითოეულ 19 - ლიტრიან ბალონს უნდა მოჰყვებოდეს 400 (ოთხასი) ცალი ერთჯერადი ჭიქა: მოცულობა - 180-200 მლ; მასალა-პოლიეთილენი; ფერი-თეთრი ან გამჭვირვალე; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და სანიტარული ნორმების დაცვით დამზადებული ქარხნულად;

1.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 19 ლიტრიანი პლასტმასის ბალონები შემსყიდველს უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, ყოველი მომდევნო ახალი პარტიის მიწოდებამდე;

1.4. ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უსასყიდლოდ (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში) დროებით სარგებლობაში უნდა გადასცეს შემსყიდველს ახალი ან მეორადი (ტექნიკურად და ვიზუალურად კარგ მდგომარეობაში) 2 (ორი) ცალი დისპენსერი წყლის გაციების და გაცხელების ფუნქციით და საკუთარი ხარჯებით განათავსოს შემსყიდველის ტერიტორიაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში - მიმწოდებელმა ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე უნდა უზრუნველყოს წყლის დისპენსერის გამართული მუშაობა.

1.5. დისპენსერის გაფუჭების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს დისპენსერი ან ჩაანაცვლოს ახლით, ამასთან, მიმწოდებელმა პერიოდულად უნდა უზრუნველყოს დისპენსერის ფილტრის გაწმენდა/შეცვლა;

1.6. საქონელი (სასმელი წყალი) და მოწოდებული ჭურჭელი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

1.7. თითოეულ მოწოდებულ წყლის ჭურჭელზე მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ძირითადი იონების და მინერალიზაციის შესახებ შესაბამისი მარკირებით, წყლის შემადგენლობა, ჩამოსხმის და ვარგისიანობის ვადა, ჩამომსხმელი ქვეყანა და მწარმოებელი;

1.8. სასმელი წყლის შენახვის ვადა ჩამოსხმის თარიღიდან უნდა შეადგენდეს მინიმუმ სამ თვეს. ამასთან, საქონლის ყოველი პარტიის მიწოდებისას, საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ მისი ვარგისიანობის მთლიანი ვადის 70%-ისა.

1.9. შესყიდვის ობიექტის რაოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართი N1-ში, რომელიც თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1 344,00 (ერთი ათას სამასორმოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირების) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შესაბამის გადასახადს (მათ შორის დღგ–ს).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 წყლის დისპენსერების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. ხოლო სასმელი წყლის მიწოდება - ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი და/ან სიტყვიერი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N21, სადაც საქონლის გადაცემაზე სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2. სასმელი წყლის შენახვის ვადა ჩამოსხმის თარიღიდან უნდა შეადგენდეს მინიმუმ სამ თვეს. ამასთან, საქონლის ყოველი პარტიის მიწოდებისას, საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ მისი ვარგისიანობის მთლიანი ვადის 70%-ისა.

6.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.4 „შემსყიდველი" ვალდებულია, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.5 წინამდებარე მუხლის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღების შემდეგ, „მიმწოდებელი" ვალდებულია, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები, საკუთარი ხარჯით ან ჩაანაცვლოს ახლით. მიმწოდებელს დაეკისრება, ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება, შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტების - მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, კონტროლოს ჯგუფის დასკვნის, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.5 ანაზღაურება „მიმწოდებელთან" განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახეურების შესაბამისად. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დარჩენილი თანხა რჩება „შემსყიდველთან" და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

7.6 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოახდინოს მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ანგარიშსწორება პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.1.3 უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1 წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

8.2.2 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2.3 დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.3.1 მოსთხოვოს„შემსყიდველს“ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.4.1 გააფრთხილოს„შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის შეფერხების შესახებ.

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.7 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს „მიმწოდებელს“ საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - მიუწოდებელი (დარჩენილი) შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

9.8 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 5.1. მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.
9.9 9.8 მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არ დაიშვება ხელშეკრულების პირობებში (მათ შორის ისეთ არსებით პირობებში, როგორიცაა ხელშეკრულების საგანი, ფასი, ვადა და ა.შ) ცვლილება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარეშე.
10.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობისას, ის მხარე, რომელსაც სურს ცვლილების შეტანა, ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე.
10.3 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შეთავაზებულ წინადადებას ცვლილების შესახებ.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დამატებითი შეთანხმებისსახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.6 წინამდებარე მუხლის 11.3 და 11.5 ქვეპუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გენერალური დირექტორის მიერ გამოყოფილი პირები.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს„მიმწოდებელს“. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ ვალდებულია ზეპირი შეტყობინებიდან არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადისა, წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტის ნაკლის შესახებ.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა

ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივიჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N21 საიდენტიფიკაციონომერი 211328703

სახელმწიფო ხაზინა,

კოდი TRESGE22

ა/ა: 708987301

„მიმწოდებელი“

შპს „ პროგრესი 2000“

მისამართი: ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი

ტელ: 22753553

საიდენტიფიკაციო ნომერი: 208211175

ბანკი: TBCBGE22

a/a GE46TB7676236040100001

სს“ თიბისი ბანკი“

გენერალური დირექტორი

ლია ძიძიგური

დირექტორი

მაია საბაგლიშვილი

ხარჯაღრიცხვა (ფასების ცხრილი)

2018 წლის 12 თებერვლის №ჟ-3/11 ხელშეკრულებასთან

დასახელება	განზომილება	რა-ბა	ფასი ერთ.	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5
არაგაზირებული მინერალური წყალი 19 ლ. ბიდონით	ცალი	120	11.20	1,344.00
სულ:				1,344.00

თსსუ ,,გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის"
გენერალური დირექტორი:

ლია ძიძიგური _____

შპს ,,პროგრესი 2000"–ის დირექტორი

_____ მამია საძაგლიშვილი